თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №2

თბილისი, 28 ივლისი, 2020

სხდომა დაიწყო 13:01 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) სოფიო ტეფნაძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოავლეობის შემსრულებელი თეა ლეკვეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნათელა ხმალაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის უფროსი ბექა ზეგარდელი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (პროტოკოლი);

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ სარჯველაძემ, სხდომა გახსნა 13:01 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ბატონმა მიხეილმა კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მისალმება;

2. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის ზოგადი მიმოხილვა;

3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;

4. სხვადასხვა.

სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მიხეილ სარჯველაძე, მიესალმა კომისიის წევრებს. მისალმების შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა მედიამონიტორინგის შედეგად შემოსულ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მასწავლებლების გონიოში წაყვანის საკითხს და სიტყვა გადასცა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

როგორც ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, არქეოლოგიური ბანაკი გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში წარმატებით ეწყობა უკვე რამდენიმე წელია. ღონისძიებაში რიგ შემთხვევებში მონაწილეობენ სკოლებისა და ბაღების მასწავლებლები და მოსწავლეები. ამასთან, პროექტის განხორციელებას არანაირი კავშირი არ აქვს მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან, რადგან ხსენებული პროექტის დაფინანსება დაიგეგმა ჯერ კიდევ 2019 წელს და დამტკიცდა საკრებულოს მიერ იმავე წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მიღებისას.

ბატონმა მიხეილმა შეაფასა მედიაში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ უმეტესად სახეზეა გარკვეული პოლიტიკოსისა თუ საზოგადო მოღვაწის სუბიექტური შეფასებები პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ეს კი, ამ ეტაპზე უწყებათაშორისი კომისიის განსაკუთრებულ ყურადღებას არ საჭიროებს, მითუმეტეს, რომ კომისიის მანდატი ძირითადად ფოკუსირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული რესურსების შესაძლო გამოყენების საკითხებზე, რისი კონკრეტული ფაქტებიც ჯერ არ დაფიქსირებულა. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია, კომისიის წევრები თავიანთ შესაბამის უწყებებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამუშაო პროცესში და რაიმე დარღვევის აღმოჩენისას უზრუნველყონ კომისიის სხდომებზე მათი განხილვა, რასაც საჭიროების შემთხვევაში მოჰყვება კომისიის შესაბამისი რეკომენდაციები დარღვევათა აღკვეთის ხელშეწყობისათვის.

შემდეგ ბატონი მიხეილი შეეხო მასწავლებლების საარჩევნო პროცესში ჩართვის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას და სიტყვა გადასცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილს.

ქალბატონმა თამარმა განაცხადა, რომ განათლების სისტემის წარმომადგენლებთან დაკავშირებული გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა კავშირში იყოს ქვეყანაში არსებულ პანდემიასთან, რაც შესაძლოა გახდა მიზეზი დაგეგმილი ღონისძიებების გადადების. ამასთან აღნიშნა, რომ პანდემიის მიერ გამოწვეული შეფერხებების გამო ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში მასწავლებლები აქტიურად იქნებიან ტრენინგებსა და სხვადასხვა გასვლით ღონისძიებაში ჩართულნი. ქალბატონი თამარის განცხადებით, აუცილებელია ყურადღების მობილიზება იმისთვის, რომ თვიდან იყოს არიდებული რაიმე სახის გაუგებრობა, რაც შეიძლება გამოიხატოს სამინისტროს სისტემის შიგნით მიმდინარე და მიმდინარე ღონისძიებების არასწორ ინტერპრეტაციასა და მათ დამახინჯებაში.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსგავს შეხვედრებზე მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ისეთი ატრიბუტიკა, რამაც შესაძლოა,

გამოიწვიოს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირება. ამასთან, ბატონი მიხეილის თქმით, ზემომითითებულ და მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით, უმჯობესია საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაცია, რათა მოსახლეობას სწორად მიეწოდოს ინფორმაცია და ადგილი არ ჰქონდეს სიტუაციის სხვაგვარად წარმოჩენას. როგორც კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, ცალკეული პროცესის დისკრედიტაციისთვის უმეტესად ვრცელდება არასრული ფაქტები, რასთან ბრძოლის საუკეთესო გზაც არის სწორი და სრული რეალური ინფორმაციის გავრცელება.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელით შესაძლებელია, ჩაეშვას ცირკულარი სისტემის იმ სტრუქტურებში, რომლებიც გეგმავენ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს. ეს ცირკულარი რეკომენდაციის სახით უზრუნველყოფს ღონისძიებებში მონაწილეთათვის სხვადასხვა განმარტების მიცემას პროექტებისა თუ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული დეზინფორმაციის გავრცელება.

ქალბატონ თამარს კომისიის თავმჯდომარემ შესთავაზა მომდევნო სხდომაზე განსახილველად ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის აუცილებელი პროექტის წარმოდგენა, რათა შესაძლებელი იყოს საერთო პოზიციაზე შეჯერება.

ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს გააცნო მედიამონიტორინგის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც კომპეტენციის მიხედვით გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, კერძოდ: გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია აპირებს, არჩევნებზე მოსული ამომრჩევლებისთვის ავტომანქანა გაათამაშოს. როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, განცხადება შეფასებისთვის გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, ცესკო-სა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დასახელებულ უწყებებს, სურვილის შემთხვევაში, ინფორმაცია მიეწოდებინათ კომისიისთვის ხსენებულ განცხადებასთან დაკავშირებით.

შემდგომ სიტყვა გადაეცა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს.

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლა აღნიშნული განცხადება. მისი თქმით, ვინაიდან ამომრჩევლის წამახალისებელი ინიციატივა პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება და არ უკავშირდება კონკრეტულ ამომრჩეველთა ჯგუფს თუ სუბიექტებს, უწყების აზრით, ამომრჩევლის მოსყიდვას არ აქვს ადგილი. შესაბამისად, არც გამოძიება დაწყებულა.

ზემომითითებულ ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტების შესწავლა პროკურატურის კომპეტენცია გახდა და სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღარ არის უფლებამოსილი, შეისწავლოს მსგავსი საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა მედიაში გავრცელებული ბატონი ალეკო ელისაშვილის განცხადება, სადაც მითითებულია მასწავლებლების მხრიდან მიღებული ინფორმაციების შესახებ მოსყიდვასთან დაკავშირებით. ბატონმა მიხეილმა მოუწოდა კომისიის წევრებს, იყვნენ მაქსიმალურად ფხიზლად და ყურადღებით.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში კომპეტენციის შესაბამისად გადაიგზავნა მედიაში ბატონი ლევან გოგიჩაიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უკანონო დაპირების თაობაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ, რაც უკავშირდება შემდეგ კრიმინალების ჩართულობას საარჩევნო პროცესებში. თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხსნებულ უწყებებს მოუწოდა მეტი სიფხიზლისკენ.

ბატონი მიხეილი შეეხო 17 ივლისს „მთავარ არხზე" გასულ ინფორმაციასაც (წულუკიძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაკავებასათან დაკავშირებით), რომელიც კომპეტენციის შესაბამისად გადაიგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ საყურადღებო საკითხის ირგვლივ სასაუბროდ თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მთავარი პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს.

ბატონი გიორგის განმარტებით, ეს ინფორმაცია შეეხება ძმები წულუკიძეების საქმეს, რომელთაგან ერთ-ერთი ძმა რევაზ წულუკიძე კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის არის ბრალდებული, შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება და მის მიმართ მიმდინარეობს საქმის წარმოება. რაც შეეხება მის ძმას – ფირუზ წულუკიძეს, იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც მან საჯაროდ ტელევიზიით განაცხადა, პროკურატურამ შესთავაზა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში გამოცხადება და ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, მან ორჯერ განაცხადა უარი მისვლაზე და ინფორმაციის მიწოდებაზე, რაზეც მიზეზი არ აუხსნია. ამასთან, ბატონი გიორგის თქმით, პროკურატურას ჰქონდა მასთან კითხვები, რაზეც პასუხი ვერ მიიღეს.

გენერალური პროკურორის მოადგილე შეეხო მედიაში გავრცელებულ ალიევების ოჯახთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც და აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ცალსახად მცდარია. მისი თქმით, პოლიციელები შევიდნენ ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების ფარგლებში, მაგრამ ეს ღონისძიება ვერ შედგა. პოლიციის შესვლის მიზნის თაობაზე ინფორმაცია დღეს მიეწოდება ალიევების ოჯახს. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებით, გამოძიება არ დაიწყება, რადგან პოლიცია მოქმედებდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ მედიაში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია საარჩევნო პერიოდში სპორტსმენების ჩართულობაზე. მისი თქმით, ჯერჯერობით არის ზოგადი შეფასების ტიპის ინფორმაცია, თუმცა, შესაძლებელია, მომავალში ეს საკითხი უფრო გააქტიურდეს და კონკრეტული ბრალდებების ფორმაც მიიღოს.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე სახის ინიციატივა ან რეკომენდაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც დღის წესრიგის მიხედვით იყო განხილული.

საკითხთან დაკავშირებით ბატონმა მიხეილმა სიტყვა გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონი ნიკოლოზის თქმით, წინა უწყებათაშორისი კომისიების მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, შეზღუდვებთან დაკავშირებით ინფორმაცია კიდევ ერთხელ ვრცელდებოდა სამინისტროს მხრიდანაც. მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილება (საუბარია მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე) განსაკუთრებით საბავშვო ბაღებსა და ბაღებში მომუშავე თანამშრომლებს ეხება. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სამინისტროს მხრიდან კვლავ იქნება მუნიციპალიტეტების მერიებსა და მერებთან აქტიური კომუნიკაცია, რათა მაქსიმალურად გაამახვილონ მათ ყურადღება საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებსა და შეზღუდვებზე. ამასთან, სამინისტროც აქტიურად ჩაერთვება მათთვის ინფორმაციის მიწოდების საქმეში შეზღუდვებთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს და მოუწოდა, რომ მათ კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ საპრევენციო აქტივობები, რათა უზრუნველყონ საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების ჯეროვნად შესრულება.

დასასრულ, ბატონმა მიხეილმა მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის და აღნიშნა, რომ კომისია მალე დაიწყებს გაფართოებული ფორმატით მუშაობას, სადაც მოწვეული იქნებიან პოლიტიკურ სუბიექტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სხდომა დასრულდა 13:25 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: